

შესტაფონის პრაზა

გამოცემის
86-ე წელი

20 ივნისი, 2017 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №1 (7987) ფასი 50 თეთრი

წელს პირველი სკოლა-ბიბნაზია საუკუნოვან იუბილეს იზაიებს

მშენებლობა დაიწყო 1902 წელს დასრულდა 1912 წელს იმავე წელს ამოქმედდა ოთხკლასიანი სასწავლებელი 8-წლიანი სწავლების პროგრამით. თუ საფუძვლიდან ვიანგარიშებთ ეს სკოლა სამართალმემკვიდრეა საყავრიის უბანში მოქმედი უძველესი დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მისი სრული ასაკი 147 წელს ითვლის.

1917 წელს აქ ამოქმედდა გიმნაზია, რომელიც ერთადერთი იყო ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგაულისა და თერჯოლის რაიონებში და ის აქ მაცხოვრებელთა უანგარო შემოწირულობებით აიგო. შენობა უნიკალურია და ძალიან ლამაზია თავისი არქიტექტურით. იგი დღესაც პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული.

საზოგადოების მოთხოვნა: მიენიჭოს მას კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ტიტული და შესაბამის სამინისტროებში დანახას საკითხი მისი ამ ნუსხაში შეტანის შესახებ.

იმედია ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს ამ მოთხოვნას.



ჩვენი სკოლების ისტორიულ წარმომავლობაში რომ გავერკვეთ აუცილებელია დავუბრუნდეთ ქალაქის წარმოშობის ისტორიას. რკინიგზის სადგურის მშენებლობას რა თქმა უნდა მის სიახლოვეს მოსახლეობის მოზიდვა მოჰყვა. უპირველესი დასახლება საყავრიად წოდებულ უბანში გაჩნდა, მშენებლობის დაწყებიდან 2-3 წელიწადში წარმოიშვა აუცილებლობა ბავშვებისათვის წერა-კითხვის ცოდნის მიღებისა და აქ ისხნება ბესარიონ კელენჯერიძის მიერ სასწავლო კურსი და 1870 წელს კი ეპარხიალური სასწავლებელი. ცოტა ხანში მათ ბაზაზე კი ორკლასიანი სასწავლებელი. სასწავლებლისათვის შესაფერისი ბინის მოძებნა საკმაოდ გაძნელებულია, საბოლოოდ იგი ნაქირავებ ფართზე ამოქმედდა, რომელიც მდებარეობდა (დღევანდელი სახელდებით თამარის ქუჩაზე). ორკლასიანი სასწავლებელი საკმაოდ ხანს 1912 წლამდე ფუნქციონირებდა. სწორედ მასზე აკეთებს აქცენტს პირველი სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი კ. ნიორაძე, რომლის ფოტოც ამჟღავნებს პირველი სკოლის 50 წლის საიუბილეო ბიულეტენს, როცა აღნიშნავს რომ: - „სკოლის (პირველი გიმნაზიის) მშენებლობა 1902 წელს დაიწყო და 1912 წელს დასრულდა,

სკოლის წარმომავლობა

მშენებლობის დამთავრების წელსავე, პირველი სექტემბრიდან სკოლაში გადმოვიდა ორკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, რომელიც ნაქირავებ ბინაში იყო მოთავსებული. ნაცვლად ორკლასიანისა გაიხსნა ოთხკლასიანი სასწავლებელი რევანდიანის სწავლების პროგრამით. 1917 წლიდან კი სკოლაში გიმნაზია ამოქმედდა. ამრიგად თუ სამართალმემკვიდრეობითი ფუძიანობით ვიანგარიშებთ პირველ სკოლა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას 147 წლისაა.

1917 წელს უკვე ოთხკლასიანი სასწავლებლის ბაზაზე რომელსაც პირველი სკოლის დღევანდელ ისტორიულ კორპუსში ჰქონდა უკვე ბინა, გაიხსნა გიმნაზია, რომელიც საუკვეთესო კონტიგენტით შეავსო ზესტაფონში არსებულმა ყველა სკოლამ.

რადგან მიღება „ეგზამენით“ ხდებოდა ყველა მსურველი ვერ დაკმაყოფილდა. ასეთმა ნაკადმა ახალი სიცოცხლე ჩაბერეს განათლების ახლად გახსნილ კერას და მანამდე არსებული ყველა სასწავლებლის უპირველეს სამართალმემკვიდრედ აქციეს იგი. ალბათ სწორედ ამიტომაც მისი არსებობის პირველი-

ვე ათწლეულებში ამ სკოლიდან წარმოჩინდნენ ცნობილი პროფესორები, დოცენტები, ხელოვნების მუშაკები და საზოგადო მოღვაწენი.

სხვადასხვა სასწავლო ფუძეებზე დაფუძნებული საუკუნეს გადაცილებული საულები ზესტაფონში მრავალადაა - მათ შორის სოფლებში. ეს ჩვენი სიამაყე და სიმდიდრეა თუმცა ამ მარგალიტებში პირველი გიმნაზიის დიდება, რომელიც ერთადერთი იყო ზემო იმერეთში და რომელიც ზესტაფონის, ჭიათურის, ჩხარის (დღევანდელი თეჯოლა), ხარაგაულის მოსახლეობის დაუმაღლებელი შემოწირულობებით აიგო გვირგვინად ადგას მას. ფასდაუდებელია ყველა იმ ადამიანის ღვაწლი რომელთაც უანგაროდ ყველაფერი გაიღეს ამ საშვილიშვილო საქმისათვის. მათი ძირითადი ნაწილი ცნობილია და საიუბილეო დღეებში დარწმუნებული ვარ ახალი შარავენდებით შეიმოსებიან, ამიტომაც ყველა, დიდი თუ პატარა ვალდებულია ღირსეულად მიაგოს მას პატივი. სკოლის ფუძე და კედლები დღესაც ინახავენ მისი საფუძვლის ჩაყრისას ღვთიური კურთხევის მადლს. საიუბილეო თარიღი გიმნაზიის ამოქმედების 100 წლისთა-

ვი კი წელს 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში უნდა აღინიშნოს.

ამ ბოლო დროს სერიოზული პოლემიკა მიმდინარეობდა სოციალურ ქსელ ფეისბუქზე მეორე საჯარო სკოლის ასაკის დადგენასთან დაკავშირებით.

პოლემიკა დასრულდა. არსად არც ერთ არქივში პირველადი დოკუმენტური ჩანაწერი ე.წ. იოსელიანის სასწავლებლის ამოქმედების ზუსტი თარიღით ვერ მოიძებნა.

აღმოჩენილია 1941 წლის 15 მარტით დათარიღებული დოკუმენტი (№ 10), რომელიც შედგანილია ნამდვილად ღირსეული პიროვნებების სკოლის მაშინდელი დირექტორის სონა გოგოლაძის, პედაგოგების: რომან მუმლაძისა და ნესტორ კოვზირიძის მიერ, რომელიც იოსელიანის სკოლის დაფუძნების თარიღად 1878 წელს ასახელებს.

დიახ, გადმოცემის მიხედვით და სხვა წყაროებით იოსელიანის სკოლა საყავრიად გაიხსნა 1876-1880 წლებში. უმეტესობა ამ ვარაუდით ემხრობა 1878 წელს.

ამ დოკუმენტის შემდგენლებს დიდი წინდახედულება ჰქონდათ. მათმა თავის დროზე გაიზიარეს უმეტესობის აზრი და აიღეს 1878. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. დოკუმენტის შედგენისათვის ომი ჯერ დაიწყო არაა, 2 წლის შემდეგ მეორე სკოლა როგორც საშუალო 10 წლის უნდა გახდეს. ნახეთ - თარიღი საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების 75 და საშუალო სკოლად დაარსების 10 წელი. ხომ წარმოგიდგენიათ სტალინის ეპოქა - რა ზეიმი გაიმართებოდა. ეს დოკუმენტური კვლევა სკოლის მიერ სწორედ საიუბილეო თარიღის მზადებისათვის იქმნება, სწორედ მაშინ მიმდინარეობს მასალების მოძიება რომ იუბილეზე ყველანი პირნათელი წარსდგნენ. მაგრამ... დაიწყო ომი და იუბილისათვის ვის ეცალა. თუმცა სულმანათი და ღირსეული ადამიანების მიერ შედგენილმა დოკუმენტმა საფუძველი დაუდო მრგვალი თარიღების აღნიშვნას. ასე იყო ეს ადრე, ასე იქნება მომავალში. მეორე სკოლას საგანმანათლებლო დაწესებულებად დაფუძნების 140 და საშუალო სკოლად ჩამოყალიბების 85 წელი უსრულდება 2018 წლის სექტემბერში. ამ თარიღს ზეიმით შეეგებება მთელი ზესტაფონი.

მოსაზრება

კრება დარჩა მხიარული

როცა ხელისუფლების ქმედებებს ვუყურებ, მახსენდება სულხან-საბას არაკი: მეფემ რომ შვილს დაუბარა ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი თავი არავის ალანდღინო და შეილამაც დაღმა ახვნევიანა გლეხებს მინა. გლეხებმა წასულ ავ მეფეზე თქვეს რა კარგი კაცი ყოფილა და ვერ გაგვიგიაო. ქართულმა ოცნებამ მართლაც უმტკივნეულოდ მოგვაჯილა „ნაციონალური“, ჭირი, მაგრამ მერე რა? უკეთესი გააკეთეს? არანაკლებ მონდომებით თელავენ ფეხქვეშ დემოკრატიას, ვიდრე ნაციონალური. ამჯერად ერთ თემას კონსტიტუციის მომზადებასა და განხილვას შევეხები.

შეიქმნა კონსტიტუციის შემუშავებული კომისია, რომლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ოცნების წარმომადგენელი იყვნენ, ცხადია მათ საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუცია სურდათ და გაიტანეს კიდევ. ამის გამო კომისია პროტესტის ნიშნად დატოვეს სხვა პარტიებმა, დარჩა ერთპარტიული „კომუნისტური კომისია“ – მე თუ მკითხავ არცერთი პარტიის წარმომადგენელს არ უნდა მიელო ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა. კონსტიტუცია უნდა დაენერა ნეიტრალურ კონსტიტუციონალისტებს ე.წ. ჭკვიან კაცებს, როგორც ვახტანგ VI-მ შექმნა კანონთა დასაწერად „ჭკვიან კაცთა“ კომისია. ცხადია კომისიის შექმნის მიზანი კარგი კონსტიტუციის შექმნა კი არა საკუთარ პარტიაზე მისი მორგება იყო, როგორც ადრე აკეთებდა ნინა ხელისუფლება. ამიტომ იყო კომისიაში უმრავლესობა ოცნებისტები.

დაიწყო შემუშავებული პროექტის ე.წ. სახალხო განხილვა, ნამდვილად არ მეგონა ასეთ საქმეში

კომუნისტებს თუ ვინმე აჯობებდა, ეს იყო მხოლოდ განხილვა განხილვისათვის, რადგან თავდაპირველად ჩავიდნენ 10 რეგიონში, შეკრიბეს სახელმწიფო მოხელეები და ნაუკითხეს კონსტიტუციის ცალკეული მუხლები და ტაშიც დაიმსახურეს, თავიანთი ხელქვეითებისგან, შემდეგ მიხვდნენ რომ 10 რეგიონი არ ეყოფოდათ ევროპიდან ცუდად გამოჩნდებოდა და კიდევ 10 რეგიონი დაამატეს. კონსტიტუცია იხილებოდა ისე რომ არცერთ განმხილველს მისი დედანი არ ქონდა ნაკითხული, კიდევ მეტი, განსახილველ დარბაზშიც კი არ შეუტანიათ პროექტი. დევიზი იყო უნდა დაგვიჯეროთ რასაც გეტყვიან. ზემოთ ავადსახსენებელი კომუნისტები ვახსენე. თურმე ისინი ფრთიანი ანგელოზები ყოფილან დღევანდელ კონსტიტუციონალისტებთან. მაგალითად – პირადად მიმილია 1978 წლის კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობა. აი როგორ იხილებოდა იმ კონსტიტუციის პროექტი: მისი მთლიანი ტექსტი ქვეყნდებოდა რესპუბლიკის მთავარ გაზეთში, იგივე გაზეთი ლებულობდა მოსახლეობის ნებისმიერ შენიშვნას თუ შესწორებას (სხვა საკითხია ითვალისწინებდნენ ამას თუ არა) საბოლოოდ მეორედ გამოქვეყნდებოდა კონსტიტუციის შესწორებული ვარიანტი და მხოლოდ ამის შემდეგ გადიოდა სესიაზე დასამტკიცებლად, ყველას კარგად მოეხსენება ხალხის მოთხოვნით ტირანის პერიოდში როგორ შევიდა 1978 წლის 14 აპრილს კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსი.

მსგავსი რამ ხდება დღეს? არა თვითონ დაწერეს, თვითონვე წაიკითხეს და თვითონვე დაამტკიცებენ. სად არის ხალხის ხმა?

ამიტომ სწორი და დემოკრატიული იყო კონსტიტუციის პროექტი გატანილიყო რეფერენდუმზე თუ არა პლემბიცისტზე მაინც, ან უკუდურეს შემთხვევაში გამოქვეყნებულიყო პრესაში და მიელოთ შენიშვნები. ზუსტად ისე გააკეთეს როგორც ასლან აბაშიძემ გასული საუკუნის ბოლოს, ჩუმად და უხმაუროდ საიდუმლო ვითარებაში მიიღო აჭარის კონსტიტუცია და თავი ამ ავტონომიის პრეზიდენტად გამოაცხადა. აქ პირიქითაა, პრეზიდენტის პოსტს საერთოდ აუქმებენ ამ „საიდუმლო“ კონსტიტუციით. ნინა კონსტიტუცია ერთმა კაცმა მოირგო თავის თავზე, ახალს მეორე კაცი ირგებს და თანაც აქ ჩაქსოვილია უდიდესი სიძულვილი. სძულთ პრეზიდენტი და ამის გამო მისი სახსენებელი უნდა მოსპოს. იმას კი აღარ უნევენ ანგარიშს რომ პრეზიდენტს ვადა გაუდის და სხვა მოვა, მაგრამ ის სხვაც რომ არ დაემორჩილოს იმ ერთს? იმას ვერ ხვდებიან ან ხვდებიან, რა სჯობს ქვეყნისათვის სამომავლოდ. ვის რაში არგია პარლამენტის არჩეული პრეზიდენტი, როგორ უნდა დააბალანსოს მან დავა პრემიერსა და პარლამენტს შორის, როგორ უნდა განმუხტოს სამთავრობო ან საპარლამენტო კრიზისი, როცა თვით თავისავე ამრჩევი ორგანოს ხელში შემყურე იქნება. ამასთან რად გვინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც არცერთი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა არ შეუძლია პრემიერის დაუკითხავად. დაე ყველა საკითხი გადაწყვიტოს პრემიერმა და საერთოდ გავაუქმეთ პრეზიდენტის ინსტიტუტი ამით ხომ უზარმაზარ ხარჯებს ავიცილებთ თავიდან და ვილაცის სანუკვარ შენობასაც გამოვათავისუფლებთ.

ლარი ბინაძე

ქრონიკები

საშიშროება მოიხსნა

რობაქიდისა და ბიბილაშვილის ქუჩებზე ხეების გადაბეღვა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით განხორციელდა. მრავალწლიანი დაზიანებული ხე – მცენარეები ძლიერი ქარის დროს უკვე საფრთხეს წარმოადგენდა, შესაბამისმა კომისიამ მათი გადაბეღვის გადაწყვეტილება მიიღო. ხეების



გადაბეღვის აუცილებლობა, რობაქიდის ქუჩაზე მომხდარმა ფაქტმა დააჩქარა როცა იქ ხე ქარმა წააქცია და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არავინ დაზიანებულა ხეების გადაბეღვის პროცესში მუნიციპალიტეტს შესაბამისი ტექნიკით დახმარება შპს „ჯორჯიან მანგანუმა“ გაუწია. რობაქიდის ქუჩაზე, იქ სადაც დაზიანებული ხეების გადაბეღვა მოხდა, შემოდგომაზე მარადმწვანე ხე – მცენარეების განაშენიანება იგეგმება.

ზესტაფონი გვირილობის დღესასწაულზე

ზესტაფონი ქუთაისში გვირილობის დღესასწაულზე მრავალმხრივი პროგრამით წარსდგა. ფოლკლორული ნომრების სინთეზი, იმერული სამზარეულო, ხალხური რენვის ნიმუშები იმერულ კოლორიტს ქმნიდა. მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებშიც მიიღო. გვირილობის დღესასწაულზე „ზესტაფონის ეზოში“ შემოსულ სტუმრებს მასპინძლობას მუნიციპალიტეტის გამგებელი



ტარიელ თუთარაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით მალრაძე უწევდნენ.

ზესტაფონში აგრონარმოების ხელშეწყობის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში „აგრონარმოების ხელშეწყობის პროექტის“ პრეზენტაცია გაიმართა. აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზნებია პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და



მოსავლიანობის ზრდის, არსებული ბალების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების, მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსანარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივების

(გაგრძელება გვ 3)

ცენდერი ერთ დარად

მკითხველი რომელიც ახლა ამ სტატიას კითხულობს და ხელში გაზეთი ზესტაფონის მოამბე უჭირავს მისი ფირნიშის ქვეშ ამოიკითხავს რომ გაზეთი გამოდის 1931 წლის მაისიდან და იგი 86 წლისაა. ამ ხნის მანძილზე რედაქციის სხვადასხვა თაობებმა და განსაკუთრებით მისმა ბოლო შემადგენლობამ მძიმე შრომით მოიტანა იგი აქამდე. ამჟამად სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით იგი სერიოზული ფინანსური შემოსავლების გარეშე დარჩა. ვინმემ რომ არ იფიქროს რომ ათეულ ათასზეა საუბარი, გეტყვიან რომ წელიწადში ის მაქსიმუმ 5 ათას ლარს აღწევდა რითაც ფაქტიურად რედაქციის მუშაკთა ხელფასების გაცემის გარეშე ახერხებდა უწყვეტ რეჟიმში გამოცემას და რაიონის მემატრიანის მძიმე ტვირთის ზიდვას. გაუცნობიერებელი მკითხველისათვის მცირე განმარტება - წლების მანძილზე საკრებულოთა დადგენილებები, განკარგულებები და ა.შ. კანონიერ ძალაში შედიოდა გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ რადგან ადგილობრივი გაზეთი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახლდათ იგი ამ ფუნქციას წარმატებით ასრულებდა. შემდგომში ამ კანონმა მოდერნიზაცია განიცადა (ნაცვების ეპოქაში), თუმცა რაიონული

ბიუჯეტის პროექტები, შესრულების მიმდინარეობა, სხვადასხვა აუქციონების პირობები გაზეთში ისევე ქვეყნდებოდა მისი მასიური მოთხოვნის გამო. სადღეისოდ ასეთი ინფორმაციების გამოქვეყნებისათვის გაზეთი სატენდერო წესით ირჩევა, მაგრამ თითქმის ყველგან კომისიები სატენდერო პირობებში უთითებენ რომ საინფორმაციო საშუალება რაონში ცნობადი, ხელმისაწვდომი და ადგილზე გამომავალი უნდა იყოს. როგორც წესი ასეთი ტენდერები წლის დასაწყისშივე უნდა შედგეს რომ საინფორმაციო წყვეტილობას ადგილი არ ქონდეს.

ასე იყო თუ ისე სატენდერო პირობები ამ მოთხოვნათა გარეშე შედგა და ტენდერიც მარტის თვეში გაიმართა. მასში ქუთაისში გამომავალმა ერთ-ერთმა გაზეთმა მიიღო მონაწილეობა და ჩვენს მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე ერთი ლარის ფასდაკლებით გაიმარჯვა.

ეს ერთი ლარი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არვის ეკითხა - იყიდებოდა თუ არა ეს გაზეთი საერთოდ ზესტაფონში, რა გამოცდილება ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ კუთხით თანამშრომლობისა, მაშინ როცა ჩვენი გაზეთი წლების მანძილზე უსასყიდლოდ ვრცელ-

დებოდა თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მიენოდებოდა ყველა ბიბლიოთეკას, ასევე უფასოდ ავრცელებდნენ მას ქალაქის პრესის გამავრცელებლები მის ცენტრალურ ნაწილსა და ბაზარში. სატენდერო თანხა 3 700 ლარს შეადგენდა აქედან მესამედზე მეტი მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების შემთხვევაში ისევ რაიონის ბიუჯეტს დარჩებოდა გადასხადების სახით. მაგრამ ეტყობა, ელექტრონული ტენდერი ზედმეტად ბრმა იმისათვის, რომ, ფაქტიურად ერთი ლარის მოგებით ასეულ ლარზე თქვა უარი. ამ გადაწყვეტილების ავკარგიანობაზე მკითხველი თვითონ გააკეთებს დასკვნას, კომისია იმისთვის არსებობს მისხალ-მისხალ ანონოს და გაითვალისწინოს ყველაფერი და „რობოტის“ გადაწყვეტილებას ბრმად არ დაეთანხმოს, ნამდვილად არავის ბიოგრაფიას არ დაამშვენებს შეგნებით თუ მის გარეშე საზიანოდ რაიონის მემატრიანედ აქამდე მოსული გაზეთის ისედაც რთული სამუშაო პირობების კიდევ უფრო გართულება.

სადღეისოდ ნამდვილად არ გვილხინს თუმცა ლოპე დე ვეგასისა არ იყოს „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“.

ზესტაფონის მოამბის რედაქციაში.

ქრონიკები

თანადაფინანსებისათვის. შეხვედრა მუნიციპალიტეტის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებით მოეწყო. პროექტის პრეზენტაციას გამგებლის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები და ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ.

კულტურისა და შემოქმედების ცენტრში



ლევან მოსილი ქორეოგრაფის გივი კახნიაშვილის დაბადებიდან 75, ხოლო შემოქმედებითი მოღვაწეობიდან 50 წლის იუბილე აღინიშნა. საიუბილეო თარიღი ქორეოგრაფს მეგობრებმა, კოლეგებმა და ხელისუფლების

წარმომადგენლებმა მიულოცეს. საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მადრაძემ, ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ბატონ გივის მადლობა გადაუხადა და შემდგომი წარმატებები უსურვა. ღონისძიება კონცერტით გაგრძელდა, რომელშიც კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ერთსაათიანი პროგრამა წარმოადგინა.

კონკურსი „რა შეუძლია ჩემს მარჯვე ხელს“

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შორის გაიმართა კონკურსი „რა შეუძლია ჩემს მარჯვე ხელს“, რომელშიც 32 საბავშვო ბავშვი იღებდა მონაწილეობას. 5 დან 6 წლამდე ასაკის მოზარდებმა ნამუშევრები ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში მრავალფეროვანი თემატიკით წარმოადგინეს. ღონისძიების ბოლოს ჟიურიმ საუკეთესო ნამუ-



შევრები გამოავლინა. შეირჩა 10 ავტორი, რომლებმაც საჩუქრად ნივნები მიიღეს. კონკურსში მონაწილეობისთვის კი სამახსოვრო სიგელი ყველა მათგანს გადაეცა.

ფაშიზმზე გამარჯვების 72 – ე წლისთავი მუნიციპალიტეტის გამგებელმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს მიულოცეს. 9 მაისის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება გამგეობის ადმინისტრაციული შენობიდან დაიწყო. ხელისუფლებამ ქვეყნის ისტორიაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის და გმირული თავდადებისთვის, მადლობა გადაუხადა თითოეულ მათგანს და დიდხანს სიცოცხლე უსურვა. მილოცვების შემდეგ, გამარჯვების დღის აღსანიშნავად, თვითმმართველობის სახელით 19 ომის ვეტერანს ფულადი თანხა 200 ლარი და საჩუქრები გადასცეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ვეტერანებმა ყვავილებით შეამკეს მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ალექსანდრე ბიბილაშვილი (გაგრძელება გვ 4)

ზედაქცობის წიგნის სავარაუდო გზაზე ლოთობა

მარტოობის სიცივეში გამახსენდი, ლოყა დამწვა წამოსულმა კურცხალმა, ჩემი ბედის უჩინარი ისტორიის, ჟამთა დენის დაკარგული ნოტა ხარ.

ქარმა შენი სამახსოვრო დამიტოვა, ვილონოს სევდის ჰანგი შორეთში, იბობოქრა მოგონების ქარიშხალმა, სირინოზის ნისლთა სიელვარეში.

ცოტაც და ალბათ განწყობა ცა, იელვებს ცრემლები წამოვად ზღვად, წასული ფიქრები შემოგლეჯს კარს, გონების ფორიაქს დაუდებს ზღვარს. აშლილი ფოთლები დაფარავს გზას, ქარის შეღმეფლება დამაბრობს კვლავ, თქვენი დამასველებს ჩამიქრობს ალს, ვნებებში გათანგულ ანთებულ კვარს. მასხარა იტირებს, მოილხენს სხვა, ვილაცა ვილაცას მიუტანს ვარდს, სონეტის რიტმებში გაშლიან ფრთას, თრთოლვა და მოგონება, ტირილის ხმა.

ცრემლი მოლოდინის, ცრემლი სიხარულის, ცრემლი მოგონების და ცრემლი ტკივილისა, ცრემლი მარტოობის, ღმერთთან შეგებების, ცრემლი მონატრების და უსასრულობისა.

ნუ დამალავთ თვალთ ცრემლთაგან, შვების მომგვრელ - სულის სიამეს.

მონატრებას შეჰპარვია სუსხი, ზამთარს თითქოს აღარ უჩანს ბოლო, წარსულ დღეებს ნელა-ნელა ფიფქავს, ვერას ვშველი დამზრალ ფიქრთა ნათოვს.

ორი დღეა ყვითელ ფერად თოვს, ნიაგს მიაქვს შარი-შური ფოთლის,

ფოთოლცვენა მოეძალა ქალაქს, მისი ბოლო აღმადრენა სულს. ქუჩის პირას მოუყრიათ თავი, ცეცხლად აქცევს მას მაშვრალი ვინმე, ეზო-ეზო გადასული კვამლი, თეთრ ნისლეზად სიცივისგან წუხს.

ნეტავ ამ თოვამ შენი თავი რად გამახსენა, რად ამიზვირთა მოგონების წყნარი მორევი, ქათქათა ფიფქებს ჩურჩულით რად ვესაუბრები, რატომ აშფოთდა ჩემი გულის ხოდაბუნები. პირველი ფიფქის გამოჩენა ჩემთან გაბრუნებს, ვნებათა ცეცხლით ძველებურად მეაღერებს, ნატერფალს ვეძებ თეთრი მოლის სისპეტაკებზე, გულში ჩარჩენილს, მტვერდადებულ სიმარტოვეში.

გარდასულხარ ფიქრად მოსულ ნიაღვარში, დავიდალე განა ისევ გიჟმაჟი ვარ, საფეთქლებზე შევერცხლილი ჭაბუკივით, სარკის იქით ანარეკლად შემოვსულვარ. დამაფინე ვარდთა კონა მონაძღვენი, სასოებით რომ ინახავ გულის სკივრში, იქნებ რამე უსაშველო ჩვენს იარას, დროებისგან უკურნებელს და გაცრეცილს. დავიდალე წარსულ დროთა სიტკობებით, მოგონებებს ცეცხლის ალი ჩაქრობია, მონატრების ძალუმური სიკაშკაშე, ფერთა გამას უსასრულოდ დაუთხვრია. ცრემლი ობლად ქუთუქებს შემრობია ნოსტალგიას ჩაუფერფლავს სილამამზე, შორით წასულ მომლოდინე სატრფოსათვის, სიყვარული ტკბილ სიმზრებად ახლომია.

ისე მოსულხარ სიბერევე ვერც-ვერა შემიტყვია რა, რადგან გული სულ შამძახის ჭეულად განა ტიალად, ნუ მიეცემი საფიქრალს დრომ ყველა გაათიალა, თვითონვე მოვა მომსვლელო მას შენი არა უნდა რა. გაიგდე ფეხქვეშ ნაბადი, დროს მიჰყევ ლხინად - იარად, კაცურ-კაცობით შეირგე საწუთროს შენი ფიალა, მოესათუთე დროებას გული გამაღე ტრფილად, ღმერთი მაღალი მოხედავს კეთილს, სათნოს და ფიანდაშს.

მონატრებად ქცეულ გავრენილო ოცნებაგ, დილის ნისლის ზღაპარო თვალთა ნამის გოდებაგ, აშოლტილო ლერწამო ქართა ვენისის შრიალო. ცად წასულო ღრუბლებად და კამარის ციალო.

ქუჩის მყედრო სიჩუმე კვლავ ძალუმად ყიალობს, ნუთუ ისევ შემხვდები ან აჩრთილთან ზიარო, გრძნობებს აშლის ჩურჩული, სადღაც ვილაც ვაგებდა, ჩვენ გვეკუთვნის წარსულით მომავალში ჩარჩენა..

ვერ ივარგებ მოიმედე თუ ხარ, სხვისი გზის და უცხოური ხიბლის, მარგალიტი დაგიჩრება ოხრად, სხვათა ხელის შემყურეთა რისხვით.

დარდიმანდი მოფანდურე გონი, სიმთა ბგერებს მის ჭკუაზე აწყობს, მოძახილი შემოგვესმის ოხვრად, გონება კი ჩირის ფასად ფასობს.

გათენდება მომავალი ვიცი, განსაცდელში გაიმრდება გენი, განთიადის ლაჟვარდოვან ზეცას, მენამურის შეეცვლება ფერი.

ფიქრი, თეთრი ნისლი, შორეთის სანახები, შენი ნატერფალი მინდორს შერჩენია, ხოხობის გოგმანი, კვილი ფარშავანგის. ამ სოფლის ბოლოში ჩვენი სათიბია. სურნლი ბალახის მზეზე გატრუსულის, სიციხით გათანგული წყაროს რაკრაკია, შორიდან მოსული სასიძოს მაყრიონი, გრძნობა მორეული მორცხვად სანახია. გულ-მკერდ გაღეღილი პიტალო ქედები, ცხადში ახდენილი მზეთუნახავია, ნეტარ მოეფერე ცად აწვილო სანადელს, ანთებულ სანთელივით უმანკოს, ცრემლებიანს.

ცრემლით საგსე თვალნი ცისკენ აგიჟყვრია, ღვთისმშობელი ღიმილს აფრქვევს მოწყალების, სათნოების სიმღერა ხარ ნაზი რითში, მუზის მოსვლა, შორს წარსულში ჩარჩენილი.

მომეახლე ოღონდ წყლულს ნუ განმიახლებ, სათნოების სანთლის ცეცხლად ანთებულო, ჩემი გული ძველებურად წარიტაცე, რომ სიცოცხლე სიყვარულით გამიმთელიო.

მუხამბაზურს დუდუნებენ კრძალვით შენთვის, მთვარეს ვერცხლად მეცა ისევ მოუჭედავს, შენ ღიმილს კი შეშურვიან ვარსკვლავები. გახვევებულ ამორძალთა ცივი მზერა.

მომეახლე ოღონდ წყლულს ნუ განმიახლებ, სათნოების სანთლის ცეცხლად ანთებულო, ჩემი გული ძველებურად წარიტაცე, რომ სიცოცხლე სიყვარულით გამიმთელიო.

რაზე ვფიქრობ? : ბოროტებაზე - სიკეთეზე, სიძულვილზე -სიყვარულზე, სიმშვიდეზე - დავიდარაბაზე, წარსულზე -მომავალზე, საფიქრალს რა დაღევეს, ცა და დედამიწა, ღამე და ნათელი, დღეთა ფრენაში მივქრივართ ყველანი

ქრონიკები

(გაგრძელება)



ლისა და სერგო კეთილადის ბიუსტები. ყვავილები მიიტანეს მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა მემორიალთან.

ნებაზე გაშვებული პირუტყვისათვის დაჯარიმებით

უზედამხედველო პირუტყვის მე-პატრონეთა წინააღმდეგ, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მუნიციპალიტეტი იძულებულია რადიკალური ღონისძიებები გაატაროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა 10 მაისს მსხვილფეხა პირუტყვის სპეციალურ სადგომში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს. რქოსანი პირუტყვი ქალაქის სკვერსა თუ ბაღებში არსებულ ნარგავებს აზიანებდა. უზედამხედველო პირუტყვის მეპატრონეებზე გარკვეული სანქციები ამოქმედდება. სანქციები ამიერიდან ყველა მსგავს შემთხვევაზე განხორციელდება. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გათვალისწინებით ბულვარებში, პარკში ან სკვერში წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გამოიწვევს წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა - პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

სამართალდამრღვევის მიერ ამ კოდექსის 290 - ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მისთვის დაკისრებული ჯარიმისა და პირუტყვის მოვლა - პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ხდება პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მინისტრი მხარეობს ანგარიშს

სოფელ ტაბაკინში მონასტრამდე მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავეიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად დათვალა. წმინდა გიორგის მონასტრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა აღნიშნულ დასახლებაში პირველად ხორციელდება. კეთილმოწყობას 2690 მეტრიანი მონაკვეთი ექვემდებარება, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას,



რომ ტაბაკინი ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი გახდეს, რადგან სოფელში მოქმედი ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი მე - 7 მე - 8 საუკუნით თარიღდება. სამუშაოები მგფ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 921 173 ლარია. პროექტის დასრულება 2017 წლის სექტემბრისთვის იგეგმება.

ცოცხალი წიგნები

თანამედროვე ქართველი მწერლები ლიტერატურულ - საგანმანათლებლო პროექტ „ცოცხალი წიგნები“ - ის ფარგლებში ზესტაფონს სტუმრობდნენ. მწერლებისა და მკითხველი აუდიტორიის შეხვედრა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შედგა. მწერალთა მობილური ჯგუფში შედიოდნენ: ეკა ქვანიშვილი - პოეტი; ეკა კვიციანი - პოეტი; ნიკა ჯორჯანელი - პოეტი; შოთა იათაშვილი - პოეტი; ალექო შულაძე - მწერალი; პროექტის ხელმძღვანელი



ქეთი დუმბაძე. პროექტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 2015 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ მკითხველთა გააცნობა ქართული მწერლობის დღევანდელი სახეები, გაიმართოს პოეზიის საღამოები, მოეწყოს დისკუსიები მოსახლეობასთან მათთვის საინტერესო თემებზე.

ზესტაფონში ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 2017 წელს 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. მათ შორისაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა,



ბა, საყრდენი კედლებისა და სანიადვრე არხების მოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სკვერებისა და ღამის განათების მოწესრიგება. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტში 15 მისამართზე იგეგმება.

გარდა აღნიშნულისა მუნიციპალიტეტში უკვე ხორციელდება 3 მასშტაბური საგზაო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფელ როდინაულის, მეორე სვირისა და სადგურ სვირის (უკვე დასრულებულია) და სოფელ ტაბაკინში მონასტრამდე მისასვლელი გზის მშენებლობას.

გაგვითა დაცვის დღე

1 ივნისის ღონისძიებები მუნიციპალიტეტში სხვადასხვა შინაარსის გა-

სართობი პროგრამით აღინიშნა. ბავშვთა დაცვის დღე ასფალტზე ხატვით დაიწყო. ღონისძიებაში მონაწილეობას სხვადასხვა ასაკის მოზარდები იღებდნენ. გამორჩეული ნახატის ავტორებს, გამგებლის მოადგილემ ვახტანგ ლამბაშიძემ სიგელები გადასცა. ზესტაფონელმა თეატრალურმა კი პატარები ზღაპრების სამყაროში ამოგზავრეს. ღონისძიებები უშანგი ჩხეიძის



სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლით დასრულდა. დასმა „გოგონა და ჯადოქარი“ წარმოადგინა.

საკრებულომ გიუჯეთში ცვლილებები დაამტკიცა

საკრებულომ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა. ცვლილებების თანხმად 25326 ლარი სოფელ განთიადში ორი ხიდის მოწყობაზე დაიხარჯება. მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის სახურავის რეაბილიტაცია 59863 ლარით დაფინანსდება. სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის სახურავის რეაბილიტაციისთვის 21233 განსაზღვრული. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის კეთილმოწყობა. სოფელ კინოთში ჭის მოწყობა. დეპუტატებმა ამავე სხდომაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნას უყარეს კენჭი. საბჭო მსგავსი კატეგორიის პირთა საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე იმუშავებს მუნიციპალიტეტში. მისი შემადგენლობა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების, პარალიმპიელებითა და შშმ პირებით დაკომპლექტდება.

ტატო ბარათაშვილის კვირეული მუზეუმში

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ტატო ბარათაშვილის საიუბილეო დღეებს მასპინძლობს. კვირეულის მეორე დღე კლდეეთის საჯარო სკოლას დაეთმო. მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოსწავლეებმა ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს.



ნეს. საიუბილეო დღეები მუზეუმების გაერთიანებისა და საგანმანათლებლო რესურს - ცენტრის ორგანიზებით იმართება. საგანმანათლებლო კვირეულში მონაწილეობის მიღების სურვილი მეორე, მეშვიდე და კლდეეთის საჯარო სკოლებმა გამოთქვეს.

ახალი საავტომობილო გზის პროექტის საჯარო განხილვა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ზესტაფონში ახალი გზის მშენებლობის პროექტის სა-



ჯარო განხილვა მოაწყო. საერთაშორისო ავტომავისტრალის მშენებლობის პროექტი ხევი - უბისა - შორაპანი - არგვეთის გზის მონაკვეთზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების საწყის ანგარიშს მოიცავდა. მასშტაბური ავტომავისტრალის პროექტით განსაზღვრულია გვირაბების, ხიდებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა. ახალი პროექტის ადგილმდებარეობა: ხევი - არგვეთის მონაკვეთი იწყება არსებული რიკოთის გვირაბის დასავლეთით 9-ე კმ -ზე და მთავრდება სოფელ არგვეთასთან. გზის სიგრძე თითქმის 42 კმ -ია, სამშენებლო პერიოდის ხანგრძლივობა კი 3 წელი. პროექტის საჯარო განხილვას მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

მინი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო

მუნიციპალიტეტში მინი საფეხბურთო მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო. რეაბილიტაცია ამჟამად აღმაშენებლისა და გორგასალის ქუჩებზე მდებარე სპორტულ მოედნებს უტარდება. სტადიონების მოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 17677 ლარს შეადგენს, გორგასალის ქუჩაზე არსებული სტადიონის მოწყობაზე კი 36568 ლარი დაიხარჯება. გარდა აღნიშნულისა დაგეგმილია ასევე კულტურისა და დასვენების პარკში არსებული საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობა. რეაბილიტაცია ჩატარდება კვალითის დასახლებაში მდებარე სპორტულ მოედნებს.

300 არაგველის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

300 არაგველის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება. პროექტის მიხედვით აღნიშნული გზის მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება, დაგეგმილია სანიაღვრე არხების მოწყობაც. გზის საფარის აღდგენის სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 161285 ლარს შეადგენს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია „იმერეთი“ აწარმოებს. მიმდინარე პროცესებს გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ კრავიშვილი და უზედამხედველობის სამსახურის უფროსი მამუკა მახათაძე ადგილზე გაეცნო. მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურული პროექტების მოსაწესრიგებლად 8 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. პრიორიტეტულ პროექტთა შორისაა საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, საყრდენი კედლების, სანიადვრე არხების მოწყობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების აღდგენა, მრავალსართულიანი კორპუსების ეზოთა რეაბილიტაცია. 2017 წელს მუნიციპალიტეტში 17 - მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაგეგმილია.

<p>მთავარი რედაქტორი გურამ ლომთაძე</p>	<p>რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა : ლერი გიფაძე, ტარიელ სალაძე, ლალი მუხლაძე, მარინა ჯუღელი</p>	<p>გაზეთი ააწყო და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შ.პ.ს. „სიმლი მს“-ის სტამბაში მის: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 33 ტელ: 22-37-11</p>
---	--	---